BGS

ST. GEORGE'S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi

მარტი / March 2026

დირექტორი გვამცნობს...

The Headmistress writes...

საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ, 9 მარტს, ბიჯიესში სასწავლო პროცესი განახლდა. არდადეგები ნაყოფიერი აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა მოახერხა დასვენება და ძალების აღდგენა, რაც განსაკუთრებულად საჭირო იყო საერთაშორისო პროგრამის მოსწავლეთათვის, რომლებსაც არდადეგების შემდეგ საცდელი გამოცდები ჰქონდათ, მაისსა და ივნისშიკი სერიოზული საგამოცდო ციებ-ცხელება ელით.

მარტის მოკლე სასწავლო თვის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი საინტერესო და სახალისო სასწავლო, შემეცნებითი, მუსიკალური თუ სპორტული ღონისძიება ჩატარდა. ყველა ამ აქტივობის შესახებ დაწვრილებით იხილავთ ქვემოთ, თვის სიახლეებში.

After spring holidays, on March 9th, BGS renewed studying process. Spring break turned out to be quite productive for our students. Majority of students managed to have some rest and refresh their energy that was especially useful for IGCSE and A Level students, who are preparing for May and June examination sessions.

Despite March being a short academic month for school, lots of interesting and fun academic, educational and sports events took place in school. I hope you'll enjoy reading about them below in this Newsletter.

BGS Students in Athens

ბიჯიესელები ათენში

BGS students recently travelled to Athens for an engaging exchange and cultural programme that combined academic learning with exploration of one of Europe's most historic cities. During their visit, students attended lessons alongside their peers, participated in debates and discussions, and collaborated in classroom activities that encouraged critical thinking, confident communication, and the exchange of ideas.

Outside the classroom, the group explored many of Athens' most famous landmarks, experiencing first-hand the history and culture of ancient Greece. The programme offered students a valuable opportunity to broaden their perspectives, build international friendships, and represent BGS while learning in a new and inspiring environment.

A memorandum of cooperation was signed between BGS and the School of Athens.

ბიჯიესის მოსწავლეები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუმრობდნენ ათენის საერთაშორისო სკოლას. ვიზიტის განმავლობაში ისინი თანატოლებთან ერთად ესწრებოდნენ გაკვეთილებს, აქტიურად ერთვებოდნენ დებატებსა და დისკუსიებში და მონაწილეობდნენ მრავალფეროვან საკლასო აქტივობებში.

ეს გამოცდილება დაეხმარა მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, მისცა თავდაჯერებულობა და გაუმარტივა საკუთარი იდეების თავისუფლად გამოხატვა

დაუვიწყარი აღმოჩნდა ათენის ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერებაც, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევდა, უშუალოდ შეხებოდნენ ძველი საბერძნეთის ისტორიასა და კულტურას.

გაცვლითმა პროგრამამ მათ მისცა შესაძლებლობა გაეფართოებინათ თვალსაწიერი, შეეძინათ ახალი მეგობრობები და ღირსეულად წარმოედგინათ ჩვენი სკოლა. სასიხარულოა, რომ მოსწავლეებმა თავი საუკეთესოდ წარმოაჩინეს.

ათენის სკოლასა და ბიჯიესს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

BGS Students in Athens

ბიჯიესელები ათენში



საცდელი გამოცდები

Mock Examinations

მარტში ტრადიციულად iPrimary-ის, IGCSE-ის, AS და A level-ის საცდელი გამოცდები ჩატარდა. ყველა საგნის მასწავლებელს შეხვდნენ საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი ეკა კვაჭანტირაძე, საერთაშორისო პროგრამების ხელმძღვანელი ხატია გოგილაშვილი და განიხილეს მათ მიერ დაწერილი შეფასებები. ამის შემდეგ, საგნის მასწავლებლებმა ინდივიდუალურად განიხილეს მოსწავლეებთან მათი ნაშრომები. ამ ფორმატით მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია სასურველი შედეგის მისაღწევად და დიდი გამოცდილებაა მოსწავლეებისათვის.

In March, as is tradition, mock examinations for iPrimary, International GCSE, AS and A Level were conducted. Subject teachers met with the Head of Centre, Eka Kvachantiradze, and the Head of International Programmes, Khatia Gogilashvili, to review and discuss assessment outcomes.
Following this, teachers held individual meetings with students to go through their work in detail. This approach is highly effective in supporting students to achieve their desired results and provides them with valuable examination experience.

Fun with Mathematics

სახალისო მათემატიკა

მარტი ტრადიციულად მათემატიკის თვეა ბიჯისეში. IV და V კლასებში ჩატარდა მათემატიკური ოლიმპიადა. საუკეთესო შედეგები აჩვენეს მეხუთეკლასელებმა: მათე კაიუმოვმა, ოთარ ლომთაძემ და მეოთხეკლასელებმა: ალექსანდრე ჯაფარიძემ, მელისა კაზმირჩუკმა, ნიკოლოზ კანკიამ, ლუკა კვირიკაძემ და ფიოდორ გოდნევმა.
III კლასში ჩატარდა მათემატიკური გუნდური თამაში ჰაუსებს შორის, I-II კლასებში კი მათემატიკური ვიქტორინა.
აღსანიშნავია, რომ სახლებმა დამატებითი ქულები დაიმსახურეს გუნდურობისა და ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული დამოკიდებულებისათვის.
მადლობა ამ აქტივობის ორგანიზატორებს.

March is traditionally Mathematics Month at BGS. Students in Grades IV and V took part in a Mathematics Olympiad. The best results were achieved by Grade V students Mate Kaiumov and Otar Lomtadze, as well as Grade IV students Aleksandre Japaridze, Melisa Kazmirchuk, Nikoloz Kankia, Luka Kvirikadze, and Fyodor Godnev.
Grade III students participated in a team-based mathematics competition between houses, while Grades I–II took part in a mathematics quiz.
It is worth highlighting that additional points were awarded to houses for teamwork and the strong sense of mutual respect shown among students.
We would like to thank the organizers of this activity.

Fun with Mathematics

სახალისო მათემატიკა




ჩვენ გვიყვარს ბუნება

We Love Nature

მარტის თვის აქტივობები ყველაზე პატარა ბიჯიესელებისთვის ძალიან საინტერესო და შემეცნებითი აღმოჩნდა. ყველაფერი - ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, ძერწვა, ხატვა და გამოფენა - ბუნების თემატიკას და მასთან დაახლოებას უკავშირდებოდა. თვის ბოლოს კი პატარები ზოოტოპიას ესტუმრნენ.
მსგავსი აქტივობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში, რადგან ისინი ეხმარება ბავშვებს ბუნების უკეთ გაგებასა და დაფასებაში, ავითარებს მათ შემოქმედებით უნარებს და აღვივებს ინტერესს გარემოს მიმართ.

All March activities for our young BGS students were highly engaging and educational. Everything from poems and stories to fairy tales, sculpting, painting, and exhibitions was connected to the theme of nature and fostering a closer relationship with it. At the end of the month, the children visited Zootopia.
Such activities are especially important at an early age, as they help children better understand and appreciate nature, develop their creativity, and inspire curiosity about the environment.

ჩვენ გვიყვარს ბუნება

We Love Nature

ციკას ოინები გრძელდება

Tsika's Tricks Continue

ჩვენმა მასწავლებელმა, ქეთი გელაშვილმა, კვლავ ძალიან გაახარა პატარები და ციკას ოინების გაგრძელება წაუკითხა. ბავშვები ძალიან კმაყოფილები იყვნენ და ბევრი კითხვაც დაუსვეს ავტორს.

Our teacher, Keti Gelashvili, once again delighted the young students by reading them the continuation of Tsika's Tricks. The children were very happy and eagerly asked the author many questions.

Visit to the Shadow Theatre

სტუმრად ჩრდილების თეატრში

Primary school students visited the shadow theatre “Budrugana Gagra”. They first enjoyed a musical performance created through shadow art and were later invited backstage. There, they learned about the theatre’s history, attended a masterclass, and even had the opportunity to create their own shadow figures. The students returned to school with memorable impressions.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ხელის ჩრდილების თეატრს „ბუდრუგანა გაგრას” ესტუმრნენ. ბავშვებმა ჯერ ჩრდილებით შექმნილი მუსიკალური წარმოდგენა ნახეს, მერე კი კულისებში მიიწვიეს, ყურადღებით მოისმინეს თეატრის შექმნის ისტორია, დაეწრნენ მასტერკლასს და თავადაც შეეცანენ ჩრდილებით „გამოეხატათ“ ცხოველები. პატარები შთაბეჭდილებით დახუნძლულები დაგვიბრუნდნენ.

Visit to the Shadow Theatre

სტუმრად ჩრდილების თეატრში





Literary Theatre

ლიტერატურული თეატრი

Students from Grades III and IV attended a performance at the literary theatre based on the fables of Sulkhan-Saba Orbeliani. They particularly enjoyed seeing both familiar and new stories and characters brought to life on stage.

III და IV კლასები იყვნენ ლიტერატურულ თეატრში. ნახეს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით დადგმული სპექტაკლი. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო სცენაზე გაცოცხლებული ნაცნობი თუ უცნობი სიუჟეტებისა და პერსონაჟების ხილვა.

ვულოცავთ

Congratulations

ნიტა ხარიტონაშვილს ევერესტის ოლიმპიადასა და დავით გრეკოვს კინგსის ოლიმპიადაში გამარჯვებას.

We warmly congratulate Nita Kharitonashvili on her success in the Everest Olympiad and David Grekov on his victory in the Kings Olympiad.

წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi



School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.